ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N7

სხდომის ჩატარების დრო:
14 აპრილი, 2022 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაგდა კოსტავა, თეიმურაზ ნადირაძე, ამირან კოპალეიშვილი, მამუკა რიჟამაძე, ბესიკ ხამაშურიძე, ბესიკ ბრეგაძე, გიორგი კილაძე, ნინო ბიბილეიშვილი, მაია სიმონიძე და ზაქრო მამასახლისი (ობიექტური მიზეზების გათვალისწინებით სხდომას ესწრებოდნენ „ზუმის" ონლაინ პლატფორმის მეშვეობით)

სულ: 11 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ჩიკვაშვილი, კობა გურული.

სულ: 5 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი შენგელია,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გია ბასილაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **პაატა ლილუაშვილი,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე **ვალერი სილაგაძე,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და

დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **კარლო კუხიანიძე,** ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ლევან სანიკიძემ** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N360 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;
4. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 10 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ჩიკვაშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების**

საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, განკარგულებას თან ახლავს დანართი, სადაც ის მიწის ნაკვეთებია ჩამოთვლილი, რომელიც ნუსხაში შედის. 134 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი გუნიას ქუჩაზე, გორა-საქუსლიას მიმდებარე ტერიტორიაზე, ეს სახელმწიფო ქონებას წარმოადგენდა და გადმოგვეცა თვითმმართველობას, მეორე ნაკვეთი მდებარეობს ავტომშენებლის 33-ის მიმდებარედ, ესეც სახლმწიფომ გადმოგვცა(146 კვადრატული მეტრი), რუსთაველის გამზირი N40-ის მიმდებარედ 270 კვ.მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი, ასევე ჭიათურის ქუჩაზე არის სახელმწიფოს მიერ გადმოცემული მიწის ნაკვეთი (73 კვ.მეტრი), სასტუმრო „რჩეულის“ უკანა მხარეს.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

საკრებულოს წვრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „რამ გამოიწვია ნუსხის ცვლილება? რამდენიმე ხნის წინ ჩვენ დავამტკიცეთ ახალი ნუსხა, შევიტანეთ ცვლილებებიც და ახლა რატომ დადგა კიდევ ამის აუცილებლობა, მოგვმართა აღნიშნულ ნაკვეთებზე ვინმემ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „ამ ეტაპზე განცხადებები არ ფიქსირდება, ერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ჭიათურის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთით ჯერ კიდევ მაშინ იყვნენ დაინტერესებულები, როცა ის სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „მინდა ჩემი მოსაზრება დავაფიქსირო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ისეთ ცენტრალურ ადგილებზე, როგორიცაა ჭიათურის და რუსთაველის ქუჩები, მოვიყვანოთ სამხარაული და შევაფასებინოთ, ცენტრალური ქუჩები რეალურად არ უნდა გაიყიდოს იაფად ჩემი აზრით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „მაგ ლოგიკით თუ წავალთ, მაშინ ყველა ესე უნდა შევაფასებინოთ, სხვა და სხვა მექანიზმი არ იმუშავებს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე**: „რატომ დადგა დღის წესრიგში ეს გუნიას ქუჩა? ან რა ადგილია? უშლის თუ არა ხელს რაიმე სტრატეგიულ ობიექტს?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „ნუსხაში ჩასმით არაფერს შეეშლება ხელი, მაგრამ როდესაც პრივატიზაცის საკითხი დადგება დღის წესრიგში, აუცილებლად ადგილზეა შესამოწმებელი აღნიშნული ადგილი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე**: „აუცილებლად გავითვალისწინოთ და არ მოხდეს ისე, რომ შემდეგ ჩვენმა საქციელმა მოსახლეობის გულისწყრომა გამოიწვიოს."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ჩიკვაშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 9 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონმა: გიორგი კილაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N360 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს, რომლითაც გეგმას ემატება 193-დან 197-მდე ჩანაწერი, გუნიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, რუსთაველის გამზირის მიმდებარე ტერიტორია, ჭიათურის ქუჩაზე არსებული ობიექტი, რუსთაველის მე-8 ჩიხი, ბარათაშვილის ქუჩა.“

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე**: „წარმოდგენილი ობიექტები, რადგან უკვე გეგმაშია შეტანილი მოხდება მათი პრივატიზება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „კი, თუმცა ყოველი ობიექტის გასხვისების წინ ხდება შემოწმება, ადგილზე გასვლით და დათვალიერებით.“

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „ფსიქიატრიულის ტერიტორია რა ფართობისაა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „მიწის ნაკვეთი-2849 , ხოლო შენობა 1649 კვადრატული მეტრია.“

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „გეგმას როცა ვაკეთებთ, ვგეგმავთ გარკვეული ობიექტების გაყიდვას, ამის შესაბამისად იგეგმება შემოსავალიც, თუ გეგმას ვზრდით, ვზრდით შემოსავალს ანუ თუ ვცვლით შინაარსობრივ მხარეს, ფინანსური მხარე რატომ არ იზრდება?“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „ფინანსური მხარე შეიცვლება გამომდინარე შედეგებიდან, რას

გავყიდით და რას ვერა, სხვა შემთხვევაში მივიღებთ შედეგს, რომ ფინანსური მხარე გაიზრდება და საბოლოოდ გეგმა შეუსრულებელი დარჩება.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ჩიკვაშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 9 წევრი, თავი შეიკავა ქალბატონმა: ნინო ბიბილეიშვილმა, ბატონმა: გიორგი კილაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N360 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერი სილაგაძემ**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „წარმოდგენილია განკარგულების პროექტი, რომლითაც მოგვმართა მუნიციპალური განვითარების ფონდმა, წინასწარი შერჩევის პრინციპით, ჩვენ ნანახიც გვქონდა ეს ადგილი გასულ წლებში, მითითებული იყო

კონკრეტული ადგილმდებარეობა, სადაც ბაღი უნდა აშენებულიყო, სამართლებრივად გამართული რომ იყოს აღნიშნული საკითხი, ზემოაღნიშნული ქონება უნდა იყოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საკუთრებაში, გამომდინარე აქედან, ითხოვს ქონების აღნაგობის ფორმით საკუთრებაში გადაცემას."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „შენობა ვისი საკუთრება იქნება?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „შენობა თავდაპირველად იქნება მუნიციპალური განვითარების ფონდის საკუთრებაში და როდესაც ააშენებს, გადმოგვცემს თვითმმართველობას."

კომისიის წევრი, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „ტექნიკურ მხარეს შევეხები, თუ არის შესაძლებელი ვთხოვოთ აღმასრულებელს ან ჩვენმა კომისიამ უზრუნველყოს ტექნიკური მხარე და წარმოდგენილ იქნას ხსენებული შენობის ვიზუალიზაციისათვის შესაბამისი ნახაზები და ფოტოები."

კომისიის წევრი, ბატონი **ბესიკ ბრეგაძე:** „მუნიციპალური ფონდი 100%-იანი სპონსორია თუ ჩვენც შევდივართ თანადაფინანსებით ამ მშენებლობაში და ფართობით რამხელა ობიექტზეა საუბარი?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „აღნიშნული ფონდი 100 %-ით აფინანსებს ამ მშენებლობას და ფართიც საკმაოდ დიდია, დაახლოებით 200 ბავშვზე იქნება გათვლილი აღნიშნული საბავშვო ბაღი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **კარლო კუხიანიძე:** „მე პირადად ადგილზე მაქვს ნანახი ეს ინფრასტრუქტურული პროექტი, არის საკმაოდ დიდი მოცულობის, გათვლილია დაახლოებით 200 ბავშვზე."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი **გია ბასილაძე**: „ვფიქრობ ძალიან კარგი პროექტია, დღეს ბაღების უმეტესობას ეზო არც აქვთ, პირდაპირ კიბეებით შედიან ბავშვები შენობაში და ამ კონკრეტულ ადგილს არის იმის ფუფუნება, მოეწყოს ყველაფერი სტანდარტების შესაბამისად, ატრაქციონებით თუ ხეივნებით და ბავშვებს მიეცეთ საშუალება არ იყვენენ შენობაში გამოკეტილები. ადგილზე მაქვს დათვალიერებული და დიდი სივრცეა, ბევრი გასართობის

მოწყობაა ეზოში შესაძლებელი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ბატონი **ვალერი სილაგაძე:** „ამ ტერიტორიის მოწყობა დამერწმუნეთ, ქალაქსაც დაამშვენებს და მოსახლეობაც კმაყოფილი დარჩება.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ჩიკვაშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 10 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **კარლო კუხიანიძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **კ.კუხიანიძემ** აქვე განმარტა: „წარმოდგენილ განკარგულების პროექტში არსებულ სიას ემატება ოთხი ახალი ობიექტი: ირაკლი აბაშიძის გამზირზე არსებული კიკვიძის სკვერი, ჩეჩელაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, გუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ავალიანის N14-ში მდებარე შენობის მეორე სართულისა და სახურავის რეაბილიტაცია და N4 სამუსიკო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა და შიდა რემონტი. წარმოგიდგენთ აღნიშნული ცვლილებით და დაფინანსების მოპოვების შემთხევვაში შესაძლებელია წლევანდელი წლიდანაც დაიწყოს პროექტების განხორციელება.“

დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონი **ლევან სანიკიძე:** „სიაში 16 ობიექტია გაწერილი და დანარჩენები დაფინანსებულია?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **კარლო კუხიანიძე:** „16 ობიექტიდან 12 მოწონებული იყო და აქედან 11 ობიექტს მოპოვებული აქვს უკვე დაფინანსება, ახლა დავამატეთ ბოლო ოთხი ობიექტი.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლაშა შალამბერიძე, დავით ბახტაძე, გრიგოლ შუშანია, ნინო ჩიკვაშვილი, კობა გურული.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 10 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დასრულების გამო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ლევან სანიკიძემ,** კომისიის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ლევან სანიკიძე